

## ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების მიმოხილვა

მოგახსენებთ, რომ ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა 2018 წლის 28 დეკემბრის №78 დადგენილებით. დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობები და ხარჯები განსაზღვრული იქნა 11061.400 ათასი ლარით. რაც შეეხება 2019 წლის I კვარტლის ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმებს შემოსულობებისა და ხარჯების ნაწილში - შეადგინა 5546.138 ათასი ლარი.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2019 წლის I კვარტლის შემოსავლების დაზუსტებული გეგმა იყო 3627.228 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 2311.420 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 63 პროცენტით. მათ შორის შემოსავლების სახეების მიხედვით:

გადასახადების გეგმა იყო 2670.8 ათასი ლარი, შემოვიდა 1982.04 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 74 პროცენტით. სხვა შემოსავლების გეგმა იყო 183.6 ათასი ლარი, შემოვიდა 223.1 ათასი ლარი, გეგმის შესრულებამ შეადგინა 121 პროცენტი. ამავე პერიოდში შემოვიდა გრანტები 106.2 ათასი ლარი. გეგმით გათვალისწინებული იყო 770.8 ათასი ლარი.

მიმდინარე პერიოდის ნაშთის ცვლილებამ შეადგინა 1918.9 ათასი ლარი.

მიმდინარე პერიოდის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ ნაშთის ჩათვლით შეადგინა 5546.1 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 4235.2 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 76 პროცენტით.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2019 წლის გადასახდელების (ხარჯების) გეგმა იყო 5546.1 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 2618.4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 47 პროცენტით. ხარჯები გაწეულია ეკონომიით. მათ შორის:


1. ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 243.8 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 158.8 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 65 პროცენტით.
2. მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 672.7 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 389.3 ათასი ლარი (58%).
3. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობისათვის გეგმიური 26.0 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯული იქნა 20.5 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 79 პროცენტით.
4. ინფრასტრუქტურის მშენობლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციისათვის ხარჯები გეგმით გათვალისწინებული იყო 2759.6 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 957.1 ათასი ლარი (35%).
5. საგანმანათლებლო დონისძიებებისათვის ხარჯები განსაზღვრული იქნა 918.2 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 670.6 ათასი ლარი (73%).
6. კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობის და სპორტის ხელშეწყობის სამსახურის ხარჯების გეგმა იყო 309.9 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 208.2 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 67 პროცენტით.

7. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 534.3 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 165.1 ათასი ლარი (31%).

8. მერის ბრძანებებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გახარჯული თანხის ოდენობამ შეადგინა 3.7 ათასი ლარი.

დეტალური ინფორმაცია მიმდინარე პერიოდის შემოსავლების და გადასახდელების შესახებ თან ერთვის.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის  
საფინანსო სამსახურის უფროსი:



/გ. მანგოშვილი/